პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

15 ივლისი სამშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 162 (14462)

ლენინურ ეკლიპსის ასწლეულ 100

• დაწინაურდა მერი ჩომახიძე

170-180 პროცენტი — ასეთია მერი ჩომახიძის გამომუშავების ჩვეულებრივი ნორმა. იგი რუსთავის ხელოვნური ბოჭკოს ქარხნის ცხელი გაჟღენთვის საამქროში მუშაობს.

სამი წლის წინათ, რუსთავის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოვიდა მერი საწარმოში. ამ დროის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ქალიშვილს გეგმა გადაჭარბებით არ შეესრულებინოს. ახლა იგი ლენინურ შრომითს ვახტზე დგას. სურათზე: რუსთავის ხელოვნური ბოჭკოს ქარხნის მოწინავე მუშა მერი ჩომახიძე.

ფოტო რ. კაპარაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ასამუშავებელი მშენებლობები

PRAVDA

14 ივლისის მოწინავე

ბაიტალური მშენებლობის, ახალი სიმძლავრეების თავის დროზე საექსპლოატაციოდ გადაცემისა და ათვისების გეგმების წარმატებით შესრულებაზე დიდად არის დამოკიდებული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება. აი რატომ არის მეტად საჭირო, რომ სრული მოცულობით შეკასრულოთ ხუთწლედის მეოთხე წლისათვის დასახული ვრცელი სამშენებლო პროგრამა.

ახლა მშენებლობებზე ყველაზე ხელსაყრელი და დაძაბული დროა. გაშალა რა შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შესახვედრისათვის, მშენებელთა და მემონტაჟეთა ბევრი კოლექტივი წარმატებით ასრულებს თავის ვალდებულებებს. მოკლე ვადებში ამოქმედდა ყანგბადის კონვერტორი და საკოქსე ბატარეის დიდი კომპლექსი კრივოროჟეეში. ძალას იკრებს ჩერეპოვეცის შავი მეტალურგიის გოლიათი, სადაც თუჯი მოგვცა უდიდესმა ბრძმედმა. უკვე პროდუქციას უშვებს ჩელიაბინსკის ქარხნის ყანგბად-კონვერტორის საამქრო. ახალი სიმძლავრეები ამოქმედდა კრასნოიარსკისა და სარატოვის ბიდროელექტროსადგურებში, ზმიევის, კოსტრომისა და ესტონეთის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურებში. კურსკს, ჩებოქსარის, ნამანგანისა და ოჯერის საფეიქრო კომბინატებში, დუშამბეს ფეხსაცმლის ფაბრიკასა და მთელ რიგ სხვა საწარმოებში.

მოფიქრებული ინჟინრული მომზადება, მოწინავე გამოცდილების ფართოდ გამოყენება, სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, მაღალი საწარმოო და შრომითი დისციპლინა, კომუნისტების სწორი განლაგება გადამწყვეტ უბნებზე, საბრძოლო სოციალისტური შეჯიბრება — აი რა უდევს საფუძვლად ამ შრომითს წარმატებებს.

მაგრამ წლის პირველი ნახევრის შედეგები გვიჩვენებს, რომ ქვანახშირის მრეწველობის, ცემენტის, მინერალური სასუქების, პლასტიკური მასალების, შავი და ფერადი ლითონების, მანქანებისა და ხელსაწყოების, მსუბუქი და კვების მრეწველობის ნაწარმის წარმოების ზოგიერთ ასამუშავებელ ობიექტზე ჩამორჩენაა. სამშენებლო სამინისტროთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ცდილობენ ეს ჩამორჩენა გაამართლონ გასული მკაცრი ზამთრისა და დაგვიანებული გაზაფხულის სიძნელეებით. მართლაც, ქვეყნის ცალკეულ რაიონებში არახელსაყრელი კლიმატური პირობები ხელს უშლიდნენ წარმოების ნორმალურ რიტმს. მაგრამ სწორი არ იქნება ყველაფერი ეამინდობას დავაბრალოთ.

გრაფიკები ხშირად ირღვევა იმის გამო, რომ დამაკმაყოფილებლად არ არის ორგანიზებული შრომა, გრძელდება მატერიალური და ადამიანთა რესურსების დაკარგვა, ცუდად იყენებენ ტექნიკასა და სამშენებლო ტრანსპორტს. მაგალითად, „გლავეუფორალსტროის“ ცალკეულ კოლექტივებში ბრიგადებს ყოველთვის როდი აქვთ ზუსტი დავალება, აკლიათ ინსტრუმენტი და მოცდენაზე აქ კარგავენ სამუშაო დროის დაახლოებით ერთ მეხუთედს. ასამუშავებელი ობიექტებისადმი ყურადღება შეანელეს „სიბმეტალურგსტროის“ სამმართველომ, რომელიც სამუშაოებს აწარმოებს დასავლეთ ციმბირის მეტალურგიულ ქარხანაში და „ტაგილსტროის“ ტრუსტმა, რომელიც შავი მეტალურგიის ობიექტებს აშენებს ნიჟნი ტაგილში.

კარგად ცნობილია, რომ სამშენებლო წარმოების წარმატებანი ბევრად არის დამოკიდებული სსრ კავშირის სახმომარაგების მთავარი სამმართველოებისა და მიმწოდებელ საწარმოთა კოლექტივების ზუსტ და მეწყობილ მუშაობაზე. სამწუხაროდ, მასალებისა და მოწყობილობას ასამუშავებელ ობიექტებს ხშირად უგზავნიან დაგვიანებით, ირღვევა შეკვეთების შესრულების შეთანხმებული ვადები. „სოიუზგლავნიმაკომპლექტმა“ პირველ კვარტალში ნოვომოსკოვსკის ქიმიურ კომბინატს დაკლო ტექნიკური მოწყობილობის 127 ერთეული და დაახლოებით 100 კილომეტრი კაბელის პროდუქცია. ალექსეევკის ცემენტის ქარხნის მეხუთე ხაზის ამოქმედება დახასიათებული იყო მიმდინარე წლის მეორე კვარტალისათვის, მაგრამ წვდილ ხაჯალთებსა და ძალური კაბელის მნიშვნელოვან ნაწილს მშენებლობა მხოლოდ მესამე და მეოთხე კვარტალებში მიიღებს — ასე დაგეგმა მიწოდება სსრ კავშირის სახმომარაგების, „სოიუზგლავსტროიკომპლექტმა“.

მშენებლობის ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებებისა და ცუდი მომარაგების გამო ჩიფუშა ტაჯიკეთის სსრ პენეიკენტის საკონსერვო ქარხნის, ჩერემხოვის ხორცკომბინატისა და ბელორეჩენსკის კარაქის ქარხნის საექსპლოატაციოდ გადაცემა. უზბეკეთის, თურქმენეთისა და საქართველოს მინერალური სასუქების ინდუსტრიის ასამუშავებელ მშენებლობებს, რომლებსაც რესპუბლიკური სამინისტროები აგებენ, ცუდად ამარაგებენ ადგილობრივი მასალებით. რუსთავის ქიმიური კომბინატის-მშენებლებს აკლიათ ხე-ტყე, ცემენტი, ღორღი და ქვიშა. სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს საწარმოებმა იანვარ-ივნისში უმნიშვნელოვანეს მშენებლობებს დააკლეს ათეულათასობით ტონა ლითონკონსტრუქციები. ყოველივე ამან გავლენა მოახდინა ქიმიის, შავი და ფერადი მეტალურგიის, საშენ მასალათა მრეწველობისა და სხვა დარგების ახალ სიმძლავრეთა მშენებლობის მიმდინარეობაზე.

პარტიამ და მთავრობამ უკანასკნელ დროს მიიღეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ სამშენებლო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, მშენებელთა და დამპროექტებელთა შრომის ანაზღაურების გაუმჯობესებას. თვითეული სამშენებლო კოლექტივის მოვალეობაა ამ დიდ ზრუნვას უპასუხოს შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებით. ახლა მთავარია არ დაკარგოთ დრო, განვახორციელოთ კონკრეტული და ქმედითი ღონისძიებანი, რათა აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი და ჩამორჩენა ყოველ მშენებლობაზე, სადაც ყოვნდება სამუშაოთა დროული დამთავრება. საჭიროა უფრო ენერგიულად დავნერგოთ შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, წარმოების მოწინავე მეთოდები, ფართოდ გამოვიყენოთ ნოვატორთა გამოცდილება. პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანაა დარგის ყველა მშრომელს საფუძვლიანად განუმარტონ, თუ რა მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ამასწინათ მიღებულ დადგენილებებს მშენებლობის საკითხებზე. საჭიროა მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს ჩავუნერგოთ მინდობილი საქმისათვის დიდი პასუხისმგებლობის, გრძნობა, მშენებელთა მრავალმილიონიანი არმიის მეცადინეობა მოვახმაროთ შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით ზრდას, სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებასა და მათი ვადების შემცირებას.

მშენებელთა მთავარი ამოცანაა, ხაზგასმულია პარტიისა და მთავრობის გადწყვეტილებებში, თავის დროზე ამოქმედონ ახალი სიმძლავრეები. ამას უნდა ისახავდეს მიზნად სამშენებლო სამინისტროების, მთავარი სამმართველოების, ტრესტებისა და სამმართველოების ხელმძღვანელთა ორგანიზატორული საქმიანობა. საჭიროა უფრო ღრმად ჩავწვდეთ ასამუშავებელ მშენებლობათა საჭიროებებსა და ოპერატიულად განვიხილოთ აქ წამოჭრილი საკითხები. ყოველივე ეს თანაბრად ეხება სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს, შემკვეთ სამინისტროებს, სსრ კავშირის სახმომარაგების „სოიუზგლავკომპლექტებს“. მოწყობილობის დამამზადებელ ქარხნებს, ტრანსპორტის მუშაკებს, რომლებსაც ტვირთები გადაეცემა ხუთწლედის მშენებლობებისათვის.

ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციათა პირდაპირი მოვალეობაა თავიანთ შეუნელებელ კონტროლს დაუქვემდებარონ ასამუშავებელი ობიექტები, აამაღლონ სამეურნო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა სახელმწიფო დისციპლინის დაცვისათვის, უფრო მეტად დაეხმარონ მშენებლებს. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ახალ სიმძლავრეთა ამოქმედების დავალებანი შეეკასრულოთ სრულად და ვადაზე.

ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ

□ ᲕᲐᲚᲔᲜᲯᲘᲩᲔᲚᲐᲛ მეაბრეშუმეებმა 9 ივლისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 1.142 ცენტნერი აბრეშუმის პარკი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.100 ცენტნერისა. რაიონის მეაბრეშუმეებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მიჰყიდონ სახელმწიფოს 120 ცენტნერი აბრეშუმის პარკი. ეს „კომუნისტის“ რედაქციის აცნობებს პარტიის წლენჯიხის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. კვარაცხელიამ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. კვარაცხელიამ და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ნ. ხალიამ.

□ ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ რაიონის მეაბრეშუმეებმა, რომლებიც ჩაბმული არიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში, ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური დავალება. სახელმწიფოს მიეყიდა 341,5 ცენტნერი აბრეშუმის პარკი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 340 ცენტნერისა, რაც წლიური გეგმის 100,5 პროცენტს შეადგენს. პარკის დამზადება გრძელდება. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა. პარტიის სოხუმის რაიკომის მდივანმა ხ. ავიძბამ.

ᲡᲐᲡᲐᲮᲔᲚᲝ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲗᲐᲨᲘ

მაჩვენებლებით

ᲯᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ლითოფონის ქარხნის კოლექტივმა სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრა ხუთწლედის მეოთხე წლის პირველი ნახევარი. ქიმიკოსებმა 107 პროცენტით შეასრულეს პროდუქციის გამომვების დავალება, ამასთან მოახდინეს გაცილებით მეტი ნაწარმის რეალიზაცია, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

თავი გამოიჩინეს და გეგმის გადამეტებით ასობით ტონა პროდუქცია გამოუშვეს ლითოფონის, სრესაილი საღებავების, ლაქ-ემალების და შაპიანმნის საამქროების კოლექტივებმა, რომლებსაც ბ. რობაქიძე, ი. ბრეგაძე, ა. ბოსნიაკოვი და გ. ანსტასიადი უძღვებიან.

ᲗᲘᲑᲐᲕᲔᲜ ᲐᲮᲛᲔᲢᲐᲨᲘ

ᲐᲮᲛᲔᲢᲐ. (საკ. კორ.). ახლა აქ გამოცხადებულია საყოველთაო ლაშქრობა 4.540 ტონა თივის დასამზადებლად.

განსაკუთრებით ენერგიულად შრომობენ ალვანის მეცხვარეობის ხაჯიშე საბჭოთა მეურნეობის საკვებ-მომპოვებლები, რომლებმაც წელს პირველი და მეორე თიბვის დროს 3.400 ტონა საკვები უნდა დაამზადონ პირუტყვისათვის.

სათიბი აგრეგატები და ახლობით ალვანელი მთიბავი დიდი ხანია შოედვნენ შირაქის ბარაქიან სათიბებს, და პირველი შედეგებიც თვალწინ არის. 300 ცენტნერი თივის დამზადებას ვარაუდობდნენ მატნის მეცენახეობის საბჭოთა მეურნეობის საკვებმომპოვებლები. უკვე აღებული აქვთ 500 ცენტნერზე მეტი. მათ გონივრულად გამოიყენეს ნათესი და ბუნებრივი ბალახების სათიბები. საკვებმომპოვებლები მონდომებით მუშაობენ იმისათვის, რომ პირუტყვის სადგომებთან 600 ცენტნერზე მეტი უყოთიანი თივა დაზვინონ.

ᲛᲔᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲔᲑᲑᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲐᲜᲐᲚᲓᲔᲡ

ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ გაანაღდეს ნახევარი წლის დავალება და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ნაკისრი 6 თვის ვალდებულება საქართველოს საკონსერვო საწარმოებმა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია მილიონ 400 ათასი ქილა სხვადასხვა სახის კონსერვი, ხოლო რეალიზებულია მილიონ 614 ათასი მანეთის პროდუქცია. საგრძნობლად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი.

კარგად იმრომეს გორის საკონსერვო კომბინატმა, ბათუმის ციტრუსკომბინატმა, ლაგოდეხის, გურჯაანის, განთიადის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის, საგარეჯოს, ახმეტის საკონსერვო ქარხნების, აგრეთვე საქართველოს შაქრის კომბინატის კოლექტივებმა. აღსანიშნავია რომ „საქკონსერტტრესტის“ საწარმოებმა წელს 7 მილიონით მეტი ქილა კონსერვი გაუგზავნეს მოსმარებელს, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში.

— ტრესტის საწარმოები მზად არიან ახალი სეზონისათვის, — აცნობა რედაქციას ტრესტის მმართველმა ბ. რეგაზიშვილმა — ქარხნები აღიჭურვნენ მაღალი წარმადობის ახალი დანადგარებით. მარტო წელს დამატებით მოეწყო 15 ტექნოლოგიური ხაზი, ლაბორატორიები შეიცვალა ახალი აპარატურით, საზომი იარაღებით, ჭურჭლითა და ქიმიკატებით. მეკონსერვეები მზად არიან მიიღონ და შეუფერხებლად გადამუშაონ ხილ-ბოსტნეულის წლევანდელი მოსავალი.



ᲞᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲜᲐᲠᲒᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

14 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ კრემლში წარმატებით დამთავრდა მოლაპარაკება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება ოფიციალური მეგობრული ვიზიტით.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი და სხვა ოფიციალური პირები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ე. ჰონეკერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. მიტაგი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პალატის თავმჯდომარე, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე გ. გეტენგი და სხვები.

მოლაპარაკების დროს დამთავრდა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისა და გაგრძელების საკითხთა განხილვა. გაიმართა აგრეთვე აზრთა საყოფიერი ურთიერთგაცვლა საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის აქტუალურ საკითხებსა და საერთაშორისო ვითარების იმ პრობლემებზე, რომელთა გადაჭრისათვის სსრ კავშირი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ერთად მოქმედებენ.

შემდეგ მხარეებმა მიიღეს ერთობლივი განცხადება საბჭოთა კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტის შედეგების შესახებ.

მოლაპარაკებამ ძმური მეგობრობის, გულითადობის, შეხედულებათა სრული ერთიანობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 14 ივლისი. (საკდესი). დღეს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი. იგი ჩვენს ქვეყანაში იყო ოფიციალური ვიზიტით სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე გერმანელი მეგობრები გააცილეს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ა. პ. კირილენკომ, ა. ნ. კოსიგინმა, კ. თ. კატუშევმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

საკდესის ცნობა

ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲨᲘᲐ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ „ᲚᲣᲜᲐ-15“

(ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲨᲘᲡᲐ. სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად 1969 წლის 13 ივლისს 5 საათსა და 55 წუთზე მოსკოვის დროით საბჭოთა კავშირში მატარებელი რაკეტის საშუალებით გაუშვეს „ლუნა-15“ ავტომატური სადგური. სადგური მთვარისაკენ გაშვებულია დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის შუალედური ორბიტიდან. გაშვების მიზანია ავტომატური სადგურის, ბორტის სისტემების დამუშავება და მთვარისა და მთვარისპირგვლივი კოსმოსური სივრცის შემდგომი მეცნიერული კვლევა.

სადგური მოძრაობს ტრაექტორიით, რომელიც უახლოვდება გაანგარიშებულს.

სადგურთან არის მყარი რადიოკავშირი. ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემები, სადგურის ბორტის სისტემები და სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

„ლუნა-15“ სადგურის ფრენის მართვა, მისი ტრაექტორიის პარამეტრების განსაზღვრა და ინფორმაციის მიღება წარმოებს დედამიწის საკომანდო-საზომი კომპლექსის საშუალებებით.

საკოორდინაციო - გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

ᲒᲘᲠᲛᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲑᲐᲖᲣᲚ ქვირაღდეს თბილისში ჩამოვიდა ბირმის კავშირის ინფორმაციის სამინისტროს დელეგაცია ინფორმაციის მინისტრის მოადგილის ტინ ტუნის მეთაურობით. დელეგაცია ეცნობა საქართველოს.

14 ივლისს სტუმრებმა დაათვალიერეს რესპუბლიკის დედაქალაქი, იყვნენ შემმანური ღვინოების ქარხანაში, იწვიეინენ მცხეთასა და ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის. (საქდესი).

ᲛᲔᲒᲝᲒᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲒᲐᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა გ. ი. ჩოგოვაძემ 14 ივლისს მიიღო ბირმის კავშირის ინფორმაციის სამინისტროს დელეგაცია, რომელიც თბილისში იმყოფება.

მიღებაზე იყვნენ დელეგაციის მეთაური ბირმის ინფორმაციის მინისტრს, მოადგილე ტინ ტუნი, სახელმწიფო სტამბების სამმართველოს უფროსი უ სო აუნგი, სახელმწიფო გამომცემლობა „სარპაი ბეიმანის“ დირექტორი უ ტინ ჯი, მთავრობის გაზეთ „ჩეიმოუნის“ („მირორის“) მთავარი რედაქტორი და წამყვანი პოლიტიკური მომობილველი უ ტეინი (ზავანა), დელეგაციის მდივანი უ ჯო მიანგი.

გ. ი. ჩოგოვაძეს, ტინ ტუნსა და მის კოლეგებს შორის გულთბილი, მეგობრული საუბარი გაიმართა.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს დეპუტატთა საგენტოს დირექტორი ვ. ი. ჭიაურელი, საკდესის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების გამგე ი. ტ. იანჩენკო, ბირმის კავშირში სსრ კავშირის საელჩოს მრჩეველი ა. ა. სოსინი. (საქდესი).

ᲗᲘᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ ᲘᲧᲝ

ᲰᲐᲜᲡ ᲑᲐᲠᲘ:

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეოვაჭრობის პალატის საპატიო პრეზიდენტი ჰანს ბარმა სრული კმაყოფილება გამოთქვა საქართველოს სსრ რესპუბლიკაში თვისა ათი დღის ვიზიტის შედეგებით. „ჩვენ შინ ვბრუნდებით გულწრფელი რწმენით,— თქვა მან, — რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საქართველოს სავაჭრო და სხვა ეკონომიური ურთიერთობა კიდევ უფრო ფართოდ განვითარდება“.

საქართველოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაატარებს 19 დასახელების პროდუქცია — მარგანეცის მადანი, ნაგლინი, მილები, ჰიდრომეტალურგიული ხელსაწყოები, რადიოტელეგრაფის აპარატურა, ჩაი, ღვინო და სხვ. საქართველოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა წვდის სამრეწველო საწარმოთა მოწყობილობას, ფართო მოხმარების საქონელს.

ჰანს ბარმა ისაუბრა საქართველოს. სავაჭრო პალატაში, ამ საუბრის დროს განიხილეს საკითხები, რომლებიც ეხებოდა ორივე რესპუბლიკის საქმიანი წრეების მჭიდრო კონტაქტების დამყარებას.

თბილისს გარდა ჰანს ბარი და მისი თანმხლები პირები მეწვევნენ სოხუმსა და ბათუმს.

კავშირს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის პალატის საპატიო პრეზიდენტი ჰანს ბარი თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა. აეროდრომზე იგი გააცილეს საქართველოს საგარეო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე რ. ს. ილიაშვილმა, საგარეო პალატის საგარეო ურთიერთობის განყოფილების უფროსმა ლ. გ. რეხვიაშვილმა, პალატის პასუხისმგებელმა თანამშრომელმა ი. ს. გოკიელმა. (საქდესი).

ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲮᲐᲑᲐᲠᲝᲕᲡᲙᲨᲘ

RᲠᲝᲒᲝᲠᲪ უკვე ვიუწყებოდით, ჩინეთის მხარესთან მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, ა. წ. 18 ივნისს ქალაქ ხაბაროვსკში მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ამურის აუზის სასაზღვრო მდინარეებზე ნაოსნობის შერეული კომისიის მე-15 თათბირმა.

თანასწორ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის 1951 წლის შეთანხმებისა სასაზღვრო მდინარეებზე ამურზე, უსურიზე არგუნზე, სუნგარაზე და ხანკის ტბაზე ნაოსნობის წესისა და ამ წყალსავალ გზებზე სანაოსნო ვითარების დადგენის შესახებ კომისიას უნდა განეხილა პრაქტიკული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია იმასთან, რომ უზრუნველყოს გემების ცურვის ნორმალური პირობები მდინარეთა სასაზღვრო უბნებზე სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სასაზღვრო მდინარეებზე 1969 წლის ნავიგაციაში.

საბჭოთა დელეგაციამ, რომელიც ხელმძღვანელობდა კომისიის წინაშე დასმული საკითხების კონსტრუქციული გადაჭრისადმი მისწრაფებით, თათბირის განსახილველად შეიტანა 1969 წლის საგზაო სამუშაოთა გეგმა, წინადადება შეეთანხმონ ორივე მხარის გემების ცურვის წესების ახალი რედაქცია, აგრეთვე განიხილონ მხარეთა მოხსენებანი 1967-1968 წლების ნავიგაციის მანძილზე შესრულებული მუშაობის შესახებ.

მუშაობის დაწყებიდანვე აშკარა გახდა, რომ ჩინეთის დელეგაცია ქალაქ ხაბაროვსკში ჩამოვიდა არა იმისათვის, რომ განიხილოს კომისიის კომპეტენციაში შემავალი საკითხები, არამედ იმისათვის, რომ თავს მოახვიოს კომისიას იმ საკითხების განხილვა, რომლებიც დაკავშირებულია სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სასაზღვრო მდინარეებზე საზღვრების გავლასთან, რევიზია გაუწიოს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის 1951 წლის შეთანხმებას. ასეთმა მიდგომამ თავი იჩინა თვით თათბირის დღის წესრიგის ფორმულირებაშიც.

კომისიის მუშაობის მსვლელობაში ჩინეთის დელეგაციამ აღძრა ეერთ წოდებულ „არათანასწორუფლებიან“ ხელშეკრულებათა საკითხი, მიმართავდა სხვადასხვაგვარ ცილისმწამებელურ განცხადებებს, იმუქრებოდა და ა. შ. საბჭოთა დელეგაცია, შესაბამის პასუხს აძლევდა რა ჩინეთის ინსინუაციებს, ცდილობდა, რომ თათბირს თავი არ აერიდებინა ნაოსნობასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხების განხილვისათვის, და ყოველი ღონე ეხმარა, რათა შეეშუშავებინა გადაწყვეტილებანი სასაზღვრო მდინარეებზე 1969 წელს ნავიგაციის ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად. სხვანაირად რომ ეუქვეთ, მოუწოდებდა კომისიას ემუშავა იმ საკითხებზე, რომლებისთვისაც იგი შეიქმნა.

აშკარად იმ მიზნით, რომ თათბირის მუშაობა ჩაეფუშათ, ჩინეთის ხელისუფლებმა 8 ივლისს პროვოკაციულად გამოიწვიეს შეიარაღებული თავდასხმა საბჭოთა მემდინარეებზე ბოლდინსკის კუნძულზე, რომლებიც, მოქმედებდნენ რა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის 1951 წლის შეთანხმების მტკიცე შესაბამისობით, ასრულებდნენ ამ კუნძულზე სანავიგაციო ნიშნების მოსახურებასთან დაკავშირებულ ფუნქციებს.

ამის შედეგად, 12 ივლისს ჩინეთის დელეგაციის მეთაურმა განაცხადა, რომ უარს ამბობს თათბირის მუშაობაში შემდგომ მონაწილეობაზე. ამასთან იგი ამახინჯებდა ნამდვილ ვითარებას თათბირზე, გაბოროტებით ასმოდა თავს საბჭოთა წარმომადგენლებს.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა მოუწოდა ჩინეთის დელეგაციას განგრძო თათბირის მუშაობა. მიუხედავად ამისა, ჩინეთის წარმომადგენელმა კატეგორიულად თქვა უარი მონაწილეობა მიეღო თათბირის შემდგომ მუშაობაში.

აღრიგად, ჩინეთის მხარემ იკისრა მთელი პასუხისმგებლობა თათბირის მუშაობის ჩაფუშვისათვის.

ჩინეთის წარმომადგენლის აღნიშნული მოქმედება ჩინეთის ახალი მტრული აქციაა, რომელიც რგოლია ჩინეთის მხარის პროვოკაციული მოქმედებისა საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის საზღვარზე. (საკდესი).

ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲮᲐᲑᲐᲠᲝᲕᲡᲙᲨᲘ

1969 წლის საგზაო სამუშაოთა გეგმა, წინადადება შეეთანხმონ ორივე მხარის გემების ცურვის წესების ახალი რედაქცია, აგრეთვე განიხილონ მხარეთა მოხსენებანი 1967-1968

კ ა ნ ო ნ ი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-14 მუხლის დამატების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლის „ფ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ფ) სასამართლო წყობილებისა და სამართალწარმოების კანონმდებლობის საფუძვლების, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლების დაწესება“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. პოდგორნი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1969 წლის 11 ივლისი.

კ ა ნ ო ნ ი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლები და შევიდეს ძალაში 1969 წლის 1 ნოემბრიდან.

მუხლი 2. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების წესი და შეუსაბამოს სსრ კავშირის კანონმდებლობა ამ საფუძვლებს.

მუხლი 3. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლეს საბჭოებს მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობა შეუსაბამონ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. პოდგორნი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1969 წლის 11 ივლისი.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლები

კ ა რ ი I

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობა

მუხლი 1. საბჭოთა შრომა-გასწორების კანონმდებლობის ამოცანები

შრომა-გასწორების კანონმდებლობის ამოცანაა უზრუნველყოს სისტემა სამართლის სასჯელის აღსრულება ისე, რომ იგი იყოს არა მარტო დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ გამოსწოროს და ხელახლა აღსარდოს მსჯავრდებული შრომისადმი პატიოსან დამოკიდებულების, კანონების ზუსტად შესრულების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე აცდენილი იქნეს ახალ დანაშაულთა ჩადენა როგორც მსჯავრდებულთა, ისე სხვა პირთა მიმართ. აგრეთვე ხელს უწყობდეს დანაშაულის აღმოფხვრას.

სასჯელის აღსრულება არ ისახავს მიზნად ფიზიკური ტანჯვის მიყენებას ან ადამიანური ღირსების შელახვას.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობა შედგება ამ საფუძვლებისაგან, რომლებიც განსაზღვრავენ სასამართლოს მიერ დანიშნული სისხლის სამართლის სასჯელის აღსრულებისა და მოხდის პრინციპებს და აწესებენ მის ზოგად დებულებებს, სსრ კავშირის სხვა კანონმდებლობისაგან, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კოდექსებისაგან და ამ რესპუბლიკების სხვა კანონებისაგან.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობა საფუძვლებით, სსრ კავშირის სხვა კანონებით, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების სხვა კანონებით ადგენს ამ სასჯელის ტერიტორიაზე მსჯავრდებულთა ყოფიერებას, ამ ტერიტორიაზე მსჯავრდებულთა ადგილსამყოფელს, ასევე ამ ტერიტორიაზე მსჯავრდებულ მოზარეებთან ხანგრძლივ ან ხანმოკლე ნებართვიანი ან უნებართვო ყოფნის, ასევე ამ ტერიტორიაზე ან სხვა ადგილას ოჯახებთან ერთად ცხოვრების, ასევე ამ ტერიტორიაზე ან სხვა ადგილას ოჯახებთან ერთად ცხოვრებაზე ნებართვის მიცემის, ასევე ამ ტერიტორიაზე ან სხვა ადგილას ოჯახებთან ერთად ცხოვრებაზე ნებართვის ჩამოერთმევ

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ერთი ხანმოკლე ნახვისა; საერთო რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში მსჯავრდებულთა მიერ სასჯელის ვადის მეოთხედი ნაწილის მოხდის შემთხვევაში — ექვსი ხანმოკლე ნახვისა, გაძლიერებული რეჟიმის კოლონიებში მსჯავრდებულთა მიერ სასჯელის ვადის მესამედი ნაწილის მოხდის შემდეგ — ორი ხანმოკლე ნახვისა.

მუხლი 25. თავისუფლებაალკვეთილ მსჯავრდებულთა მიერ ამანათებისა და გადაცემების მიღება

მსჯავრდებულს, რომლებიც შრომა-გასწორების კოლონიებში არიან, სასჯელის ვადის ნახევრის მოხდის შემდეგ ნება ეძლევათ წელიწადში მიიღონ სამამდე ამანათი ან გადაცემა.

მსჯავრდებულთ, რომლებიც სასჯელს იხდიან შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში, ნება ეძლევათ წელიწადში მიიღონ ექვსამდე ამანათი ან გადაცემა.

ამანათებისა და გადაცემების რაოდენობა და წონა კოლონიათა რეჟიმის მიხედვით განისაზღვრება მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კოდექსებით.

მსჯავრდებულთ, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის საპყრობილეებში იხდიან, ამანათებისა და გადაცემების მიღების ნება არა აქვთ.

მსჯავრდებულთ, მათთვის დაწესებული რეჟიმის სახეობის მიუხედავად, ნება ეძლევათ წელიწადში მიიღონ ექვსამდე ამანათი ან გადაცემა.

შრომა-გასწორების კოლონიებსა და საპყრობილეებში იმ მსჯავრდებულთა პირად ანგარიშზე, რომლებიც არ არიან რეჟიმის და ასრულებენ გამომუშავების ნორმებს ან მიცემულ დავალებებს, ყველა დაკავების მიუხედავად უნდა ჩაერიცხოთ სულ ცოტა 10 პროცენტი, ხოლო პირველი და მეორე ჯგუფების იმ ინვალიდების პირად ანგარიშზე, რომლებიც რეჟიმს არ ირღვევენ, — მათთვის დარიცხული თვიური ხელფასის სულ ცოტა ოცდახუთი პროცენტი. შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში იმ მსჯავრდებულთა პირად ანგარიშზე, რომლებიც არ ირღვევენ რეჟიმს, ყველა დაკავების მიუხედავად, უნდა ჩაერიცხოთ მათთვის დარიცხული თვიური ხელფასის სულ ცოტა ორმოცდახუთი პროცენტი. პირველს, რომლებიც სასჯელს იხდიან შრომა-გასწორების კოლონიებსა და საპყრობილეებში, ყველა დაკავების მიუხედავად, უნდა გადიხადოთ ხელფასის საერთო თანხის სულ ცოტა ორმოცდაათი პროცენტი.

თავისუფლებაალკვეთილი პირების შრომის ანაზღაურების პირობებსა და წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

ამ საფუძვლებით და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კოდექსებით დადგენილი წესით, მსჯავრდებულნი შრომის ფუნაზიანურებლად შეიძლება ამუშაონ ახლოდ თავისუფლების აღკვეთის ადგილებისა და მათთან ახლო მდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობისათვის, აგრეთვე მსჯავრდებულთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

მუხლი 30. პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა თავისუფლებაალკვეთილ პირებთან

პირებთან, რომლებსაც თავისუფლება აქვთ აღკვეთილი, წარმოებს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, რომლის მიზანია მათი აღზრდა იმ სულისკვეთებით, რომ პატიოსნად ეკიდებოდნენ შრომას, ზუსტად ასრულებდნენ კანონებს და პატივს სცემდნენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, უფრთხილდებოდნენ სოციალისტურ საკუთრებას, მათი შეგნებისა და კულტურული დონის ამაღლება და სასარგებლო ინიციატივის განვითარება.

პოლიტიკურ-აღმზრდელობითი ღონისძიებებში მსჯავრდებულთა მონაწილეობა წახალისდება და მხედველობაში მიიღება მათი გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის ხარისხის განსაზღვრისას.

მუხლი 31. თავისუფლებაალკვეთილ პირთა ზოგადსაგანმანათლებელო და პროფესიულ-ტექნიკური სწავლება

შრომა-გასწორების დაწესებულებებში შემოღებულია მსჯავრდებულთა საყალდებულო ზოგადსაგანმანათლებელო რვაწლიანი სწავლება.

მსჯავრდებულთათვის, რომლებსაც სპეციალობა არა აქვთ, ეწყობა საყალდებულო პროფესიულ-ტექნიკური სწავლება.

ორმოც წელს გადაცილებულ მსჯავრდებულთ ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებაში, აგრეთვე პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს პროფესიულ-ტექნიკურ სწავლებაში ამბობენ მათი სურვილისამებრ.

ზოგადსაგანმანათლებელო და პროფესიულ-ტექნიკური სწავლების ორგანიზაცია თავისუფლებაალკვეთილი პირებისათვის ხორციელდება წესით, რომელსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აგენს.

მუხლი 32. თვითმოქმედი ორგანიზაციები თავისუფლების აღკვეთის ადგილებში

მსჯავრდებულთათვის, რომლებიც სასჯელს იხდიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, კოლექტივიზმის ჩვენების განვითარებისა და მათი სასარგებლო ინიციატივის წახალისების მიზნით, აგრეთვე მსჯავრდებულთა გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდაზე კოლექტივის გავლენის გამოყენების მიზნით შრომა-გასწორების დაწესებულებებში იქმნება მსჯავრდებულთა თვითმოქმედი ორგანიზაციები, რომლებიც ამ დაწესებულებათა აღმინისტრაციის ხელმძღვანელობით მუშაობენ.

თვითმოქმედი ორგანიზაციების სახეობები და მათი მუშაობის წესი განსაზღვრება მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კოდექსებით.

მუხლი 33. წახალისების ღონისძიებანი, რომლებიც გამოიყენება თავისუფლებაალკვეთილი პირების მიმართ

კარგი საქციელისა და შრომისა და სწავლისადმი პატიოსანი დამოკიდებულებისათვის მსჯავრდებულთა მიმართ შეიძლება გამოიყენებულ იქნეს წახალისების შემდეგი ღონისძიებანი:

— მადლობის გამოცხადება;

— წარმოების მოწინავეთა დაფაზე შეტანა;

— ქების სიგელით დაჯილდოება;

— პრემირება მუშაობაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის;

— წელიწადში დამატებით ერთი ამანათის ან გადაცემის მიღების ნებართვა;

— წელიწადში ერთი ხანმოკლე ან ხანგრძლივი ნახვის უფლების მიცემა;

— ნებართვა დამატებით დახარჯოს ფული ორ თანეთამდე კვების პროდუქტებისა და პირველი საჭიროების საგნების შესაძენად უქმე დღეებში, შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში — ორ თანეთამდე თვეში.

— წინათ დადებული სასჯელის ვადამდე მოხსნა.

ვადაყვანა მსჯავრდებულებისა, რომლებმაც სასჯელის ვადის სულ ცოტა ერთი მესამედი მოიხადეს, განსაკუთრებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიის საკნის ტიპის სათავსოდან იმავე კოლონიის ჩვეულებრივ საცხოვრებელ სათავსებში:

ეს სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს მსჯავრდებულის ვადის ნაკლებობას ან ხასიათს.

თუ მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის დროდან ერთი წლის განმავლობაში არ დაედება ახალი სასჯელი, იგი ითვლება სასჯელის ამოჭრილად.

მუხლი 35. თავისუფლებაალკვეთილი პირების მატერიალური პასუხისმგებლობა

თავისუფლებაალკვეთილი პირები მატერიალურ პასუხს აგებენ სასჯელის მოხდის დროს საბელმწიფოსათვის მატერიალური ზარალის მიყენებისათვის იმ ოდენობით, რომელიც დადგენილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

ზარალს ანაზღაურებენენ შრომა-გასწორების დაწესებულების ფიზიკოსის დადგენილებით იმ წესით, რაც გათვალისწინებულია ამ მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კოდექსებში.

სასჯელისაგან მსჯავრდებულს განთავისუფლების შემდეგ ზარალი, რომელიც მან ვერ ანაზღაურა სასჯელის მოხდის დროს, სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება გადახდევინებულ იქნეს კანონით დადგენილი წესით.

სასჯელის მოხდის დროს ჩადენილი დანაშაულის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის გადახდევინება წარმოებს საერთო წესით.

მუხლი 36. თავისუფლებაალკვეთილი პირების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფა

პირებისათვის, რომლებიც სასჯელს იხდიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, უზრუნველყოფილია საჭირო სამოსლეულობა, რომლებიც, ითვალისწინებენ სანიტარიის და ჰიგიენის წესებს.

მსჯავრდებულთ ეძლევათ ინდივიდუალური საწოლი ადგილი და ლეიბები. ასევე უზრუნველყოფილია არიან ტანსაცმლით, თბილეულით და ფეხსაცმლით სეზონის მიხედვით და კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

მსჯავრდებულნი იღებენ კვებას, რომელიც უზრუნველყოფს მათ ორგანიზმის ნორმალურ ცხოველმოქმედებას. კვების ნორმები დადგენილია შრომა-გასწორების დაწესებულების მდებარეობის კლიმატური პირობებს. მსჯავრდებულთა მიერ შესრულებული სამუშაოს ხასიათისა და შრომისადმი მათი დამოკიდებულების მიხედვით. პირებს, რომლებიც მთავასებული ორიან საკარიმო ან სადისციპლინო ოთხლატორში, ირიცხებიან, საკნის ტიპის სათავსში, აგრეთვე გასაკუთრებული რეჟიმის კოლონიის სამარტოო საკანში, კვებას იღებენ შემცირებული ნორმებით.

ორსულ ქალებს, მეძუძურ დედებს, ინასულოწლოვანებს, აგრეთვე ავადმყოფებს ექიმების გადაწყვეტილებით ეძლევათ ამ ადამიანთა პირობები და ძალიან კვების გადიდებული ნორმები.

მსჯავრდებულ ქალებს, რომლებიც ექთანდებიან შრომას და იცავენ რეჟიმის მოთხოვნებს, შრომა-გასწორების დაწესებულების აღმინისტრაციამ სამეთვალყურეო კომისიასთან შეთანხმებით შეიძლება ნება დართოთს ორსულობის გარეთ ცხოვრებაზე ორსულობისა და შობიარობის გამო სამუშაოდან განთავისუფლების პერიოდში, აგრეთვე ბავშვის ორი წლის ასაკის მიღწევამდე. კოლონიის გარეთ მსჯავრდებულ ქალთა ცხოვრების ნესი განისაზღვრება მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კოდექსებით.

მუხლი 37. თავისუფლებაალკვეთილ პირთა სამედიცინო მომსახურება

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ეწყობა საჭირო სამკურნალო დაწესებულებანი.

სამკურნალო-პროფილაქტიკური და ეპიდემიის საწინააღმდეგო მუშაობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იწყობა და ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად.

თავისუფლებაალკვეთილ პირთათვის სამედიცინო დახმარების გაწევის წესს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების სამკურნალო დაწესებულებათა გამოყენებისა და ამ მიზნით მათი სამედიცინო პერსონალის მოწვევის წესს განსაზღვრავენ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

შრომა-გასწორების კოლონიებთან საჭიროების შემთხვევაში იქმნება ბავშვთა სახლები. მსჯავრდებულ ბავშვთა სახლებში შეიძლებათ მოთავსდნენ თავიანთი ორ წლამდე ასაკის შვილები.

მუხლი 38. თავისუფლებაალკვეთილ პირთა უბადრადგოდ მიმოსვლა

ვამონაკლის შემთხვევებში შრომა-გასწორების კოლონიებში მსჯავრდებულთ, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ გამოსწორების გზას, სასჯელის ვადის სულ ცოტა ერთი მესამედის მოხდის შემდეგ, ხოლო მსჯავრდებულთ, რომლებიც მიმართა კანონის შესაბამისად არ გამოიყენება ვადამდე პირობითი განთავისუფლება, — სასჯელის ვადის სულ ცოტა ორი მესამედის მოხდის შემდეგ, შეიძლება მიეცეთ კოლონიის გარეთ უბადრადგოდ მიმოსვლის ნება, თუ ეს აუცილებელია მსჯავრდებულთა მიერ შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებით.

მსჯავრდებულთ, რომლებიც ინოფოდნენ შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში და რომლებიც მტკიცედ დაადგნენ გამოსწორების გზას და მთიანდეს თავისუფლების აღკვეთის სულ ცოტა ექვსი თვე, შეიძლება უბადრადგოდ მიმოსვლის ფორმები კოლონიის ფარგლებში, — ამ ფორმა-ბის ხასიათისა და ტერიტორიის ზომა, — ადგენენ ადგილობრივ ადმინისტრაციასა და ადგილობრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

